



# gwp

მეტი ვიდრე უბრალოდ წყალი  
MORE THAN JUST WATER

№ 0G20-0438973

D 09. 09. 2020

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრს  
ბატონ ლევან დავითაშვილს  
მისამართი: ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის გამზირი #6  
ტელეფონი: (+995 32) 2 37 80 13

ბატონო ლევან,

საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს მეშვიდე მუხლის მოთხოვნათა გათვალისწინებით, შემუშავებული იქნა შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი“-ს „ქსნის“ ქვიშა-ხრეშის კარიერზე ნავთობპროდუქტების საცავის მოწყობის სკრინინგის განცხადება, რომელსაც წარმოგიდგენთ გადაწყვეტილების მისაღებად იმის თაობაზე, ექვემდებარება თუ არა დაგეგმილი საქმიანობა გზშ-ს.

წერილს თან ახლავს დანართები:

- სკრინინგის განცხადების ბეჭდური ვერსია - 9 ფურცელი (1 ეგზემპლარი);
- საკვლევი ტერიტორიის ადგილმდებარეობის shape ფაილები - ელ. ვერსია CD დისკზე.

პატივისცემით,  
ირაკლი ბაბუხაძე  
გენერალური დირექტორი



შპს ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი

GEORGIAN WATER AND POWER LTD

0179 თბილისი, მ. კოსტავას 1 შესახვევი №33  
ტელ / Tel: +995 (32) 293 11 11; ფაქსი / Fax: +995 (32) 298 26 07  
საიდენტიფიკაციო კოდი 203826002

№33, 1st Lane, M. Kostava str. 0179, Tbilisi, Georgia  
ელ-ფოსტა / E-mail: info@gwp.ge / www.gwp.ge  
Identification Code 203826002

შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუნდრი“



„ქსნის“ ქვიშა-ხრეშის კარიერზე  
ნავთობპროდუქტების საცავის  
მოწყობის სკრინინგის განცხადება

2020

1

## შესავალი

სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს უფროსის 2020 წლის 27 აპრილის №446/ს ბრძანების საფუძველზე, შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი“-ზე გაიცა სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების №10001408 ლიცენზია, მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფ. მუხრანის მიდებარე ტერიტორიაზე, „ქსნის“ საბადოს ქვიშა-ხრემის მოპოვების მიზნით, 5 წლის ვადით.

კომპანიის მიერ დაგეგმილია კარიერზე მომუშავე ავტოსატრანსპორტო საშუალებებისა და ტექნიკის საწვავით გამართვის მიზნით, 10 მ<sup>3</sup> მოცულობის ნავთობპროდუქტების (დიზელი) საცავის მოწყობა.

საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს II დანართის 6.3 პუნქტის და მეშვიდე მუხლის შესაბამისად ობიექტი ექვემდებარება სკრინინგის პროცედურას. ამის გათვალისწინებით შემუშავებული იქნა სკრინინგის განცხადება.

## დაგეგმილი საქმიანობის ზოგადი აღწერა

ავტოსატრანსპორტო საშუალებებისა და ტექნიკის საწვავით გამართვის პუნქტის მოწყობა დაგეგმილია შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი“ სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების №10001408 ლიცენზიით გათვალისწინებულ ფართობში, „ქსნის“ ქვიშა-ხრემის კარიერის ტერიტორიაზე. კარიერი მდებარეობს მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ მუხრანის მიმდებარე ტერიტორიაზე, მდ. ქსნის ხეობის ჭალა-კალაპოტში, მისი სიგანე ობიექტის კონტურსა და მის მიმდებარედ 250-280 მ-ია.

„ქსნის“ ქვიშა-ხრემის კარიერზე მომუშავე ავტოსატრანსპორტო საშუალებებისა და ტექნიკის საწვავით გამართვის პუნქტის განსათავსებელი ტერიტორიის კოორდინატებია:

X	Y
462937.39	4642174.80
462944.90	4642179.81
462941.33	4642185.72
462933.59	4642180.06

„ქსნის“ ქვიშა-ხრემის კარიერის ტერიტორიაზე უკვე მოწყობილია დაცვის ჯიხური, საველე კონტეინერებში განთავსებულია ოფისი, სამზარეულო, მოსასვენებელი ოთახი და სველი წერტილები, რომელიც დაერთებულია საასენიზაციო (ამოსანიჩხ) ორმოზე.

ავტოსატრანსპორტო საშუალებებისა და ტექნიკის საწვავით გამართვის დანადგარი შედგება 10 მ<sup>3</sup> მოცულობის ნავთობპროდუქტების (დიზელი) ცილინდრული ფორმის მიწისზედა ვერტიკალური რეზერვუარისგან, რომელზეც დამონტაჟებულია ავტოსატრანსპორტო

საშუალების საწვავით გასამართი მოწყობილობა, რომლის მუშაობას უზრუნველყოფს სამ ფაზიანი ელექტრო ტუმბო. ცილინდრული ფორმის ვერტიკალური რეზერვუარი დამზადებულია ფურცლოვანი ფოლადისგან, რომლის გარეთა ზედაპირი დაფარულია ანტიკოროზიული საღებავით. რეზერვუარს საწვავის შევსებისთვის გააჩნია ლუქი, აღჭურვილია სააერაციო მილით, სასუნთქი სარქველით, მანომეტრით და საწვავის გაცემისთვის საჭირო ტექნიკური აღჭურვილობით. ზემოაღნიშნული დანადგარის საერთო წონა ცარიელ მდგომარეობაში შეადგენს 2,5 ტ-ს (იხ. სურათი 1).

სურათი 1



**დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებული მასშტაბური ავარიის ან/და კატასტროფის რისკი**

ავტოსატრანსპორტო საშუალებებისა და ტექნიკის საწვავით გამართვის პუნქტის მოწყობისთვის გათვალისწინებულია შემდეგი სამუშაოების/ღონისძიებების შესრულება:

- რეზერვუარის განთავსების ადგილი მობეტონდება და აღჭურვება დაღვრის საწინააღმდეგო ბორტებით;
- რეზერვუართან განთავსდება შესაბამისი ხანძარსაწინააღმდეგო საშუალებები და შრომის უსაფრთხოების მაფრთხილებელი ნიშნები (1 ცალი 50 კგ-იანი მშრალი

ფხვნილი ცეცხლმაქრი, 1 ცალი 6 კგ-იანი მშრალი ფხვნილის ცეცხლმაქრი; სახანძრო ქეჩა);

- რეზერვუარისთვის მოეწყობა დამიწების ღერძი;
- ტერიტორიაზე გათვალისწინებულია მეხამრიდის განთავსება, რომელიც თავისი არეალით დაფარავს ტერიტორიაზე განთავსებულ ყველა ნაგებობას. მეხამრიდის დამიწების კონტური, მოეწყობა განცალკევებით, რომელზედაც მხოლოდ მეხამრიდის გამტარი იქნება დაერთებული. გამოირიცხება სხვა დასამიწებელი დანადგარ/მოწყობილობის დაერთება მეხამრიდისთვის სპეციალურად მოწყობილ დამიწების კონტურზე;
- მდინარეზე მოეწყობა წყლის საქაჩი ტუმბო, რომელიც საჭიროების შემთხვევაში, უზრუნველყოფს სახანძრო ჰიდრანტის წყლით მომარაგებას;
- დენის წყაროს გამოსართავი მოეწყობა რეზერვუარის მოშორებით, მინიმუმ 30 -50 მეტრი მანძილის დაშორებით.

#### მოსალოდნელი ზემოქმედება ატმოსფერულ ჰაერზე

საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, საწარმოს უბნებზე ადგილი ექნება მავნე ნივთიერებათა წარმოქმნას და მათ შემდგომ გაფრქვევას ატმოსფეროში. ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებებს წარმოადგენს ნავთობპროდუქტების ნახშირწყალბადები, რომელთა მაქსიმალური ინტენსივობები ფიქსირდება ავტოცისტერნებიდან რეზერვუარში ნავთობპროდუქტების მიღებისას.

„დაბინძურების სტაციონალური წყაროებიდან ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევების ფაქტობრივი რაოდენობის განსაზღვრის ინსტრუმენტული მეთოდის, დაბინძურების სტაციონალური წყაროებიდან ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევების ფაქტობრივი რაოდენობის დამდგენი სპეციალური გამზომ-საკონტროლო აპარატურის სტანდარტული ჩამონათვალისა და დაბინძურების სტაციონალური წყაროებიდან ტექნოლოგიური პროცესების მიხედვით, ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევების ფაქტობრივი რაოდენობის საანგარიშო მეთოდიკის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის (საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის დადგენილება #435) შესაბამისად, საწვავის გაცემის პუნქტის ფუნქციონირებისას საწვავის მიღება-შენახვა-რეალიზაციის დროს გამოყოფილი მავნე ნივთიერებათა რაოდენობა შეადგენს:

- ა) 1,4 გ ნახშირწყალბადებს (ჯამურად) 1 ლიტრ გაცემულ (რეალიზებულ) ბენზინის საწვავაზე;
- ბ) 0,0025 გ ნახშირწყალბადებს (ჯამურად) 1 ლიტრ გაცემულ (რეალიზებულ) დიზელის საწვავაზე.

საცავი საწვავს მიიღებს ავტოცისტერნის საშუალებით. საწვავის გაცემის პუნქტის საერთო წლიური წარმადობა საშუალოდ იქნება 350 ტ დიზელის საწვავი, შესაბამისად, გაანგარიშება მოხდება მხოლოდ დიზელის საწვავის მიღება-შენახვა-რეალიზაციის დროს გამოყოფილი მავნე ნივთიერებათა რაოდენობაზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გამოყოფილი ნახშირწყალბადების რაოდენობა იქნება:

დიზელისათვის:

$$G_{\text{ნახშირწყალბადები}} = 350 \times 0,0025 / 10^6 = 0,000000875 \text{ ტ/წელ}$$

$$M_{\text{ნახშირწყალბადები}} = 0,001 \times 10^6 / 360 \times 24 \times 3600 = 0,000000002 \text{ გ/წმ}$$

სულ გაფრქვეული მავნე ნივთიერებების წამური და წლიური რაოდენობები იქნება:

$$G = 0,000000875 \text{ ტ/წელ}$$

$$M = 0,000000002 \text{ გ/წმ}$$

როგორც გაანგარიშების შედეგები აჩვენებს, გაფრქვეული ნახშირწყალბადების რაოდენობა მცირეა. შესაბამისად, ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა რაოდენობა არ გადააჭარბებს ზდკ-ის დასაშვებ ნორმას გაფრქვევის წყაროდან 500 მ-იან რადიუსში, ასევე უახლოეს დასახლებულ პუნქტთან. უახლოესი საცხოვრებელი სახლი, 550 მ-ის დაშორებით მდებარეობს (იხ. რუკა 1).

რუკა 1: სიტუაციური რუკა



### ხმაურის გავრცელება

საწვავის გაცემის პუნქტის მუშაობის პროცესში ხმაურის გავრცელების დონეების გადაჭარბება არ არის მოსალოდნელი, რადგან მოსაწყობი ობიექტის სპეციფიკიდან გამომდინარე, არ იგეგმება ხმაურის დონის გამომწვევი დანადგარის მონტაჟი, ამასთან, ტერიტორია მნიშვნელოვანად არის დამორებული დასახლებული პუნქტიდან.

### ბიომრავალფეროვნება

ობიექტის სიახლოვეს არ ფიქსირდება მრავალწლიანი მცენარეული სახეობები, მით უმეტეს წითელ ნუსხაში შეტანილი სახეობები, ასევე არ ფიქსირდება ცხოველთა სახეობები. ტერიტორია წარმოადგენს მდინარის ჭალა კალაპოტს (იხ. სურათი 2).

სურათი 2



### სოციალურ გარემოზე ზემოქმედება

საწვავის გაცემის პუნქტის ფუნქციონირება კარიერზე დამატებით სამუშაო ადგილს წარმოქმნის, რის გამოც საქმიანობა დადებით გავლენას მოახდენს სოციალურ-ეკონომიკურ გარემოზე.

### ზემოქმედება მიწის ნაყოფიერ ფენაზე და არქეოლოგიურ ან კულტურულ მემკვიდრეობაზე

ობიექტის ტერიტორიაზე მიწის სამუშაოების შესრულების პროცესში არქეოლოგიური ან კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის გამოვლენა მოსალოდნელი არ არის, ასევე ზემოქმედება არ იქნება მიწის ნაყოფიერ ფენაზე, რადგან ტერიტორია წარმოადგენს მდინარე ქსნის ჭალა კალაპოტს.

### ზემოქმედება ზედაპირულ წყალზე

სქმიანობის განხორციელების ადგილი უახლოესი წყლის ობიექტიდან, მდ. ქსნიდან დაშორებულია 100 მ-ით (იხ. რუკა 2). ამასთან ობიექტის მოწყობისა და ფუნქციონირების პროცესში ზემოქმედება ზედაპირულ წყალზე მოსალოდნელი არ არის.

რუკა 2: სიტუაციური რუკა





### ნარჩენების მართვა

საცავის მოწყობისას ნარჩენების წარმოქმნისა მოსალოდნელი არ არის, ხოლო ფუნქციონირებისას წარმოამნილი ნარჩენების მართვა მოხდება კომპანიის ნარჩენების მართვის გეგმის მოთხოვნების შესაბამისად - ნავთობპროდუქტების შემთხვევითი დაღვრის შემთხვევაში, დაბუნძურებული ღორღი განთავსდება პოლიეთილენის პარკში, შემდეგ კონტეინერში და გადაეცემა შესაბამისი ნებართვის მქონე კონტრაქტორ კომპანიას. ამასთან კომპანია დააწესებს მკაცრ კონტროლს ნავთობპროდუქტების შემთხვევითი დაღვრის აღკვეთის და გამორიცხვის მიზნით.

### კუმულაციური ზემოქმედება

„ქსნის“ ქვიშა-ხრემის კარიერზე მომუშავე ავტოსატრანსპორტო საშუალებებისა და ტექნიკის საწვავით გამართვის პუნქტის ფუნქციონირებისას კუმულაციური ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის, რადგან მის სიახლოვეს ანალოგიური ტიპის ობიექტი არ ფუნქციონირებს.

### ბუნებრივი რესურსების (განსაკუთრებით – წყლის, ნიადაგის, მიწის, ბიომრავალფეროვნების) გამოყენება

„ქსნის“ ქვიშა-ხრემის კარიერზე მომუშავე ავტოსატრანსპორტო საშუალებებისა და ტექნიკის საწვავით გამართვის პუნქტის მოწყობითი სამუშაოები ბუნებრივი რესურსების გამოყენებას არ ითვალისწინებს.

### დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილი და მისი თავსებადობა

„ქსნის“ ქვიშა-ხრემის კარიერზე მომუშავე ავტოსატრანსპორტო საშუალებებისა და ტექნიკის საწვავით გამართვის პუნქტის განსათავსებელი ტერიტორიის კოორდინატებია:

X	Y
462937.39	4642174.80
462944.90	4642179.81
462941.33	4642185.72
462933.59	4642180.06
462937.39	4642174.80

მოსაწყობი ობიექტიდან 3 კმ-ის რადიუსში დაცული ტერიტორია არ მდებარეობს. ტერიტორია ასევე არ მდებარეობს ჭარბტენიან ტერიტორიასთან და შავი ზღვის სანაპირო ზოლთან ახლოს.

### ზემოქმედების ტრანსსასაზღვრო ხასიათი

საწვავის გაცემის პუნქტის მოწყობითი სამუშაოებითა და შემდგომ მისი ფუნქციონირებით, არანაირი ტრანსსასაზღვრო ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.